სსკგ-ს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვის კონსერვატორიის 155-ე წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო აქტში

2021 წლის 13 სექტემბერს, მოსკოვის პ.ი. ჩაიკოვსკის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საზეიმო აქტი გაიმართა, რომელიც მიეძღვნა ცნობილი უმაღლესი მუსიკალური სასწავლო დაწესებულების დაარსების 155-ე წლისთავს. სადღესასწაულო ღონისძიებას, – რომელსაც დაესწრნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწე ვ.ი. ტოლსტოი, რუსეთის კულტურის მინისტრის მოადგილე ო.ს. იარილოვა, რუსეთის შემოქმედებითი უნივერსიტეტების რექტორები, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები, – კონსერვატორიის რექტორმა ა.ს. სოკოლოვმა უხელმძღვანელა.

სადღესასწაულო დღესთან დაკავშირებით მისალმებები გაკეთდა რუსეთის პრეზიდენტის ვ.ვ. პუტინის, რუსეთის ფედერაციის ფედერალური ასამბლეის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვ.ი. მატვიენკოს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე მ.ვ. მიშუსტინის, რუსეთის კულტურის მინისტრი ო.ვ. ლიუბიმოვას სახელებით.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ კონსერვატორიის რექტორ ა. სოკოლოვს, პროფესორებსა და მასწავლებლებს, სტუდენტებს მისალოცი წერილი გაუგზავნა, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების შორეული საზღვარგარეთის საქმეთა მდივანმა, დეკანოზმა სერგი ზვონარიოვმა წაიკითხა.

უწმინდესმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ მოსკოვის კონსერვატორიის კედლებში დაიწყო რუსული საეკლესიო გალობის ტრადიციების შესწავლა: „ახლა კი კონსერვატორია, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ნაყოფიერი თანამშრომლობით ყოველწლიურ კონფერენციებსა და სემინარებს ატარებს, რომლებიც მათ მრავალრიცხოვან მონაწილეებს ეხმარება გაეცნონ ქრისტიანული საგალობლების მემკვიდრეობის ამოუწურავ სიმდიდრეს, გაცვალონ პროფესიული გამოცდილება და გაეცნონ საშემსრულებლო ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებას“, – აღნიშნულია უწმინდესი პატრიარქის კირილეს მილოცვაში.

სადღესასწაულო ღონისძიებაზე შესრულდა მშობლიური და უცხოელი კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებები.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88016/